№ 158. 25 ივლისი, პარასკევი. 1866—1880 25 ივლისი, პარასკევი № 158.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რუსთაველის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რაჭუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებას“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივზე წვრილი ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკუშეტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(ჩალხთა შორის საავენტოსი)

სტამბოლი, 22 ივლისს. დღეს აბ-ბედინს ჩააბარეს სახელმწიფოების საერთო ნოტა ჩერნოგორიის შესახებ. პორტას აძლევენ სამი კვირის ვადას 12 აპრილს ჩერნოგორიასთან შეკრულის კონვენციის შესასრულებლად. თუ დანიშნულს დროზე არ შეასრულებს ოსმალეთი ამ კონვენციას, მაშინ მას მოიწვევენ, სხვა სახელმწიფოებს შეუერთდეს და მათთან ერთად ჩააბაროს ჩერნოგორიას დულცინიო.

ლონდონი, კეტიდამ ხმა მოვიდა ვითომც ავღანის ტომები შამანის და ყანდაარის შუა აპირობდნენ შეერთებას. ეიუბ-ხანი მირკარემდე მიწეულა და თავის მხედრობის ერთი ნაწილი შემაქზე თავ-დასასხმელად გაუგზავნია და მეორე ცხენოსანი კაკსანზე, ყანდაარისთვის დანიშნული სამზადისის მოსატაცებლად.

პეტერბურღი, 23 ივლისს. გუშინ აქ მოვიდა იაპონიის ელჩი თავადი იანახივარი ცოლითურთ.

## „გოლოსის“ აზრი ჩვენს სასამართლოებზედ

ტფილისი, 24 ივლისს.

რუსულ გაზ. „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი ჩინებული და ჩვენთვის საინტერესო კორრესპონდენცია თფილისიდამ, რომელსაც დღევანდელს ჩვენს გაზეთში წინა სტატიის ადგილს ვაძლევთ:

„1864 წლის სამსაჯულო დებულება“ ბევრის ცვლილებით არის კავკასიის მხარეში შემოღებული. თვით არსებითსა და უმთავრესს სასამართლო ცვლილებათ არა აქვთ ადგილი კავკასიის განახლებულს სასამართლო წესებში. ნაფიცთ სასამართლოსა და ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ ვერ იცნობს კავკასიის მხარე. ამის საბუთად მოჰყავდათ, რომ კავკასია განსხვავებულ მდგომარეობაშია, რომელიც „სამსაჯულო დებულობის“ სრულად შემოღებას დაბრკოლებსო. მაგრამ ეს საბუთი მხედველობაში მისაღები არ არის.

„მართლ-მსაჯულებას კავკასიაში ბევრი დაბრკოლება აქვს; ის დამყარებულია სასამართლო ადმინისტრაციის წარმომადგენელთ პიროვნულ პოლიტიკაზედ.

მთელს კავკასიაში რუსული ენა მხოლოთ მცირე ნაწილს ესმის, იმათ, ვისაც საშვალ ანუ უმაღლესს სასწავლებლებში მიუღიათ განათლება; დანარჩენს რუსული არ ესმით, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდნენ. ამისთანა ქვეყანაში სასამართლოებისა, ადმინისტრაციის და აგრეთვე სხვა უწყების პირებმა უნდა იცოდნენ, ხალხის ხასიათი და ცხოვრება თუ არა, ენა მაინცა. ეს ისეთი აშკარა და უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ დამტკიცებაც არ ეჭირება; თუ ეს ასე არ არის, მმართლ-მსაჯულება და საზოგადოთ ხალხის გამგეობის საქმე რიგიანად ვერ იწარმოებს.

„ჩვენში მოიპოებიან ქართველები, სომხები, თათრები, რუსები და სხვა, რომელთათ უმაღლესი იურიდიული სწავლა მიუღიათ. ძეთილ-გონიერება მოითხოვდა, რომ ქართველ მომრიგებელ მოსამართლის ანუ გამომძიებლისა, ან სხვა რომელიმე თანამდებობის პირებისათვის იმ ადგილებში მიეცათ ადგილი, სადაც ქართველები სახლობენ, სომხებისათვის იქ, სადაც სომხები სახლობენ, თათრებისათვის —თათრის პროვინციებში და ამგვარად. საუბედუროთ, ეს ჩვენში ასე არ არის: ქართველს—ერევნის გუბერნიაში გზავნიან სომეხს—სვანეთში თათარს—ქართველებში და სხვა.

„რამდენიმე გამოჩენილ პროცესსის დროს დამტკიცდა, რომ ჩვენში ისეთი თარჯიმნებიც კი არ მოიპოებიან ერთი ენიდამ მეორეზე გადასათარგმნელად, რომელთაც უბრალო მოწმის ჩვენება ხეირიანად რუსულად გადათარგმნა შეეძლოსთ. არა-ერთხელ იყო ამაზედ ნათქვამი ჩვენს და სატახტო ქალაქების გაზეთებში. თუ ქუთაისში და თფილისში არ იშოვებიან ხეირიანი მთარგმნელები, მიყრუებულ ადგილებზე რაღა უნდა ვსთქვათ? მაგრამ კიდეც რომ იშოვებოდეს კარგი თარჯიმანი, განა შესაძლებელი არის, რომ ამ თარჯიმანმა და რომელმამე მოჩივარმა პირი მისცენ ერთმანეთს და საქმე უკუღმა დაატრიალონ? ადვილად შეიძლება. ამის გამოც ჩვენს მოსამართლეებსა და გამომძიებლებს ვერასოდეს ვერ შეუდგენიათ ნამდვილი აზრი გასარჩევ საქმეებზედ. თარჯიმნების ხელში არიან და ხშირად სტყუვდებიან, სცდებიან. აქედამ წარმოსდგა ის, რომ ხალხს ნდობა არა აქვს ახლანდელ სასამართლოებისა და მართლ-მსაჯულებისა.

ახალი სასამართლოები ხალხის ზნეობით გამწრთვნელ ერთ ღონისძიებათ მიმაჩნია; მაგრამ ზემოხსენებულ მიზეზების გამო, ჩვენს სასამართლოებს ეს მიზანი ვერ შეუსრულებიათ; ხშირად ამის წინააღმდეგსაც ვხედავთ, ე. ი. სასამართლო ზნეობით ჰრყვნის ხალხს. ამ სტრიქონების დამწერი კარგათ იცნობს კავკასიის სასამართლოების წესებსა და საქმეების წარმოებას და, სამწუხაროთ აცხადებს, რომ ეს ასეა.

„ისიც კმარა, რომ ჩვენ ნაფიცი სასამართლო და ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლეები არ მოგვეცა; რაღა საჭიროა კიდევ ისეთის დაბრკოლების გაჩენა, რომელიც მავნებელია როგორც თვით ხალხისათვის, აგრეთვე თვით მმართებლობისთვისაც?“

ამაზე დასამატებელი ჩვენ არა გვაქვს-რა, რადგან „გოლოსის“ კორ-

## ფელეტონი

—

### მოხევეები და იმათი ცხოვრება

III

(გაგრძელება *)

საზოგადოთ საქართველოში და განსაკუთრებით „ხევში“ დუქანი შექნილა მამასახლისისა და იმისთანა შემწეთაგან სასამართლო სახლათ!... აქ მოზდის მამასახლისს ბძანება იმაზედ უმაღლესის პირებისა, აქედგან გასცემს თავის განკარგულებას დუქანში მოზდის მომჩივარნი, დუქანშივე შეადგენს ყოველ ქაღალდებს და, რასაკვირველია, სასმელების სიახლოვეს, ამ გლეხთა საზოგადოების მმართველზედ და თითონ სამართალზედაც არა-მცირედი გავლენა უნდა ჰქონდეს... ერთის სიტყვით, დილიდამ შუა ღამემდინ მამასახლისი არა შორდება იმ სახლს, რომელშიაც იმდენი სამაცდურო, კაცის წამცდენი სასმელები ინახება.

თითქმის ყველა მამასახლისებს სმა უყვარსთ, ისინი არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას წესიერათ, დაუსამართლობით და ბოროტ-მოქმედებით იკლებენ ხალხს?..

მოხევეები კი ასრულებენ მამასახლისის ყოველ ბძანებას, ყოველ განკარგულებას; მაგრამ თქვენ აშკარათ ხედავთ, რომ ამ ასრულებაში მოხევეები ემონებიან მხოლოთ ძალას.

რა მიზეზი უნდა იყოს ამისი?..

„ხევში“ მამასახლისი კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას—თუ ავათ, ითვრება დუქანში თუ არა, მაინც-კი უნდა ვსთქვათ, რომ იმას იმოდენი საქმე აქვს, ნამეტნავათ ჯარებისა და კამანდების იმ ადგილებზედ ხშირად სიარულის გამო, რომ მთელს თავის მამასახლისობაში მომცდარი არის ოჯახობას და შინა საქმეს. ამ შრომისათვის-კი იმას არავითარი სასყიდელი არ ეძლევა არც საზოგადოებისა და არც მართებლობისაგან.

ახლა თქვენა გკითხავთ: რომელი რიგიანი, სინიდისიანი გლეხი იკისრებს სამს წელიწადს მუქთათ ემსახუროს საზოგადოებას?.. თუნდა, ეს პატიოსანი სურვილიცა ჰქონდეს რომელსამე გლეხს, განა იმას ექნება ის შეძლება, რომ, თავისათვის საქმე-გაუკეთებლივ, თავიც დაირჩინოს და ჯალაბობაც შეინახოს? რასაკვირველია, რომ არ შეუძლიან, და ამის გამოისობით, ხევში ძნელათ იმისთანა ვინმე მოსცდება შინაობას და წავა მამასახლისათ, რომელსაც ბოროტ-მოქმედება და ხალხისაგან გამორჩომა არ ექნება გულში. ამისათვისაც ეს ადგილები რჩებათ ისეთს გაიძვერა, ხალხს, რომლებიც დედის ძუძუს მოჭრას არ დაერიდებიან, არამც თუ თავიანთ მოძმეების ცარცვას და სხვა რომელსამე ბოროტებას. ოღონდაც არის ამ გვარმა გაიძვერა გლეხებმა ჩაიგდონ მამასახლისობა და რათ უნდათ საზოგადოებისაგან ჯამაგირი; როდესაც მამასახლისები ათას საშუალობასა პოულობენ ერთი-ათად მეტად ისარგებლონ.

მე მგონია, ინტერესს მოკლებული არ იყოს იმ საშუალების გაცნობა მკითხველი საზოგადოებისა, რომელსაც მამასახლისები და სხვა მოხელე ხალხი ხმარობენ ხევში და ამიტომაც მოყავს ამ საგანზედ საუბარი.

*) იხილე № 156 და 157 „დროებისა“.

რესპონდენტის პირითა და კალმით თვით ჭეშმარიტება ლაპარაკობს.

---

## „შავი ჭია“ და იმის გაწყვეტა

ჩვენი გურული კორრესპონდენტი გვწერდა ამას წინათ, რომ წელს ჩვენში რაღაც პატარა შავი ჭია გაჩნდა, რომელმანც ისე შესჭამა სიმინდი და ღომიო, რომ ღეროების მეტი არა შერჩინა-რაო.

ნამდვილად არ ვიცით ჯერ—რა ჭიაა ეს ჭია. მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ის ჭია იყოს, რომელიც ამ რამდენიმე წლის განმავალობაში სამხრეთ რუსეთის ყანებს აფუჭებს და დიდ ზარალს აძლევს ხალხს, ამის გამო ამ მავნებელ ბუზანკალზე, ჩვენს „სამეცნიერო საუბარში“ (№ 141) მოყვანილს ცნობებს გარდა, მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა, რომელიც სამეურნეო და სოფლის წარმოებას დეპარტამენტისაგან გამოცხადებულია გაზ. „მმართებლობის მოამბეში“.

გამოცდილებამ და მეცნიერთა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ყველაზე უკეთესი დრო პურის ჭიის (შავი ჭიის) გასაწყვეტათ არის ის დრო, როდესაც ის კვერცხებს დასდებს ანუ ამ კვერცხებიდამ მატლად იქცევა. როდესაც კვერცხი მატლად გარდაიქცევა და მატლს ფრთები შეესხმება, მაშინ იმის გაწყვეტა ძნელია. მრთის სიტყვით, აქაც ისე უნდა მოიქცეს კაცი, როგორც კალიის შესახებ იქცეოდა წელს ჩვენი ხალხი: კვერცხები გაანადგურა და სანამ კუტიკალია იყო, მანამ ხოცავდა და როცა ფრთები შეისხა, მერე კი თავი დაანება, რადგან ფრთიან კალიას ვერას უზამდა.

შავი ჭია ღრმათ არა სდებს მიწაში კვერცხსა; უფრო ხშირად ორი-სამი გოჯის სიღრმეზედ, ათასში ერთხელ ხუთ გოჯაზედ. დედალი ჭია სულ ხუთიდამ თხუთმეტამდინ კვერცხს დასდებს ხოლმე და ისეთს რბილს მიწაში, ნაპურალში და საზოგადოთ ნაყანევში, სადაც ახლად გამოჩეკილ ჭიას (მატლს) იქვე შეეძლოს საზრდოს პოვნა. ამას გარდა ამ ნაყანევში ყველგან ერთნაირად არ იქნება ხოლმე კვერცხი დადებული: ყანის ნაპირებში უფრო ბევრი მოიპოება, ვინემ შუაგულ ყანაში.

ეს კვერცხები შავი ჭიისა ერთობ ნაზი რამ არის: რო ამოიღოთ მიწიდამ და რამდენიმე საათის განმავლობაში მზეზე დასდონ ან წვიმაში, იმწამსვე გაფუჭდება და იქიდამ მატლი აღარ გამოიჩეკება.

თუ მიწაში დარჩა კვერცხი და არაფერმა არ დაუშალა, თვრამეტ დღეზე, ხანდისხან ოც-და-ორ დღეზე ამ კვერცხიდამ მატლი გამოიჩეკება. სამხრეთ რუსეთში შავი-ჭია ივნისის უკანასკნელ რიცხვებში იწყებს კვერცხის დებასა და ივლისის შუამდინ ათავებს. საზოგადოთ შენიშნულია, რომ როცა დიდ-ძალი შავი-ჭია გამოჩნდება მინდვრებში და ყანებში, ამის შემდეგ, ე. ი. ფრთების შესხმის შემდეგ მესამე კვირაზე ეს ჭია იწყებს ხოლმე კვერცხის დებას.

ყველაზე უკეთესი საშვალება შავი-ჭიის კვერცხების მოსაკლავად არის დახნვა ანუ გათოხნა იმ ნაყანევისა, სადაც კვერცხები გეგულებათ, საკმაოა ოთხი-ხუთი გოჯა სირღმე მიწა გადმოაბრუნოთ; კვერცხები ზევით ამოვარდებიან და მზე და წვიმა მოჰკლავს იმას. სადაც დიდი ყანებია, იქ მარტო ნაპირებზეც კმარა მიწის გადაბრუნება; პატარა ყანებს სულ მთლად მოუხდება მოთოხნვა.

---

## ახალი ამბები

—

მოგეხსენებათ, რომ, როდესაც ვაჭრებს გაკოტრება მოუნდებათ; ან ცეცხლს წაუკიდებენ თავის მაღაზიას და ან თავის ცოლისა ან სხვა ვისმე საიმედო კაცის სახელობაზედ გარდასცემენ ყველაფერს, რაც გააჩნიათ. ფინანსის სამინისტროს მიუქცევია ამ გარემოებაზედ ყურადღება და, როგორც რუსულ გაზეთებში იწერებიან, ეს სამინისტრო შემდეგ კანონების გამოცემას აპირებს:

ყველა ვაჭრები, რომელთაც მაღაზიები, დუქნები ანუ ქარხანა და ფაბრიკა აქვს და მოინდომებენ ამ თავის საკუთრების სხვაზე გადაცემას ანუ გაყიდვას, ვალდებული არიან, რომ ერთის თვის წინ მაინც გამოაცხადონ გაზითებში—თუ რა მამულს და ვისზედ ჰყიდიან. თუ ამ ერთი თვის განმავალობაში მოდავე ანუ მოვალე არავინ აღმოჩნდა, მაშინ პატრონს თავისუფლად შეუძლიან ეს თავის საკუთრება დაუბრკოლებლივ გარდასცეს ანუ მიჰყიდოს ვისმე; და თუ მოდავე გამოჩნდა, ამ შემთხვევაში, სხვა წყარო უნდა უჩვენოს მოდავის დასაკმაყოფილებელად, თორემ იმ მამულის გასყიდვის უფლება არ მიეცემა.

განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში ამგვარ კანონის გამოცემას, უეჭველია, ძალიან კარგი შედეგი ექნება, რადგან ისე ოსტატურად და უსინდისოთ თავის ქონების „ქვეშ ამოდება“ საიმედო პირზე გადაცემა და გაკოტრება არსად არ იციან, როგორც ჩვენში...

* *
*

ფოთიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 21-ს იქაურ ვაჭრის—აჯერინოვის თამბაქოს ფაბრიკის კონტროლიორის ცოლი მომკვდარა უეცრად. ქმარი ამბობსო, რომ დამთვრალი იყო ჩემი ცოლიო, წაიქცა და მოკვდაო; მაგრამ ხალხი კი თურმე ქმარს აბრალებს ამ დედა-კაცის სიკვდილს. ექიმს შეუმოწმებია მიცვალებული და ყელზე რაღაც საეჭვო ლურჯი ლაქები უნახავს. ამ საგანზე გამოძიება არის დანიშნულიო.

იმავ დღეს იქაურ მომრიგებელ მოსამართლის გზირს თავის ცოლის მოკვლა განუზრახავს რევოლვერით; მაგრამ დროზედ შეუტყვიათ და რევოლვერი ხელიდამ გამოუტაცნიათ.

* *
*

გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების სეკრეტარი ბ. ზაგურსკი დაღესტანში მოგზაურობსო იმ განზრახვით, რომ იქაური ენები შეისწავლოს და ამ ნაირად განაგრძოს მიცვალებულის უსლარის შრომა. ბ. ზაგურსკი ამ ჟამად ბოტლიხში იმყოფება—საკუთრივ ანდის ენის შესასწავლებლად.

* *
*

ამ ორი-სამი წლის წინად ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობდა ერთი განათლებული ქალი—კარლა სერენა. უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან ახლა, რომ ამ ქალს აუწერია თავის მოგზაურობა, განსაკუთრებით დაწვრილებით არის კახეთი აწერილიო, და ამ აღწერას აბეჭდვინებს ფრანცუზულს ნახატებიან ჟურნალში „*Ze Tour du monde*“ („დედა-მიწის გარშემო„).

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქუთაისი**, 13 ივლისი. არა ერთგზის წაგვიკითხავს „დროებაში“ საყვედური სოფლის მღვდლებზე და აგრეთვე სიტყვითაც ბევრისაგან გაგვიგონია იგივე ვითომც ისინი არასფერს არ აკეთებენო, ტყუილათ სჭამენო ხალხს არ წრთვნიან ზნეობათაო და სხვ. ვინც ამ ნაირად ჰკიცხავს სოფლის მღვლებს, არ იცის დაწვრილებით ამ სოფლის მღვდლების მდგომარეობა და ამბავი და იმიტომ იქცევა ეგრეთ. მე ამითი ის არ მინდა ვსთქვა, რომ სოფლის მღვდლები სრულებით მართალნი იყვნენ ყოველივე თავის მოქმედებაში და უნაკლულონი; არა, უნაკლულონი არ არიან, მაგრამ არც ისე გასამტყუნარნი, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. ავიღოთ თუნდა იმერული მღვდლის გარემოება:

იმერელს მღვდელს ხაზინიდგან არა აქვს არავითარი ჯამაგირი, როგორც თფილისის ღუბერნიაში; შემოსავალიც ცოტა: თითო გლეხისაგან ერგება დრამა წელიწადში ორი მანეთი (იმერეთში ნამუშევრის მაგივრათ ფულს აძლევენ მღვდლებს). აზნაურები არ იხდიან დრამას.

ვსთქვათ, ერთს მღვდელს თავის დიაკვნით ყავს ასი კომლი მრევლი, იმათგან რამოდენიმე აზნაურია; გლეხმა რომ სუყველამ მისცეს დრამა, ერგება მღვდელს და მის დიაკვანს 16 თუმანი.

---

როდესაც მთაში, თოვლის მიზეზით, გზა ისე დავიწროვდება, რომ ფოშტის ზიდვა სტანციის მარხილებით შეუძლებელი ხდება, მაშინ ხალხი დავალებულია თავიანთის პატარა მარხილებით ზიდოს ფოშტა. ამ შრომისათვის თითო მარხილზედ და თითო სტანციაზედ არის დანიშნული 1 მ. 50 კ.; მხოლოთ ამ ფულს მაშინათვე კი არ აძლევენ, არამედ მამასახლისი იღებს კვიტანციებს. თითქმის მთელი ზამთარი მოხევეებს დააქვთ ფოშტა, კვიტანციები-კი გროვდება მამასახლისთან, რომელმაც გაზაფხულზედ უნდა წარუდგინოს პრისტავს და ის მიიღებს ფულს ფოშტის კანტორიდგან; მემრე ისევ მამასახლისი მიიღებს ამ ფულებს პრისტავისაგან და ურიგებს ხალხს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დაპირებულის 1 მ. 50 კ. მაგივრათ ზოგს თითო მანეთს აძლევენ ამ ფულიდგან და ზოგს კი გროშიც აღარა ხვდება ხოლმე!!?

სად გაქრა დანარჩენი ფული, ვისგან ჩაიყლაპა, ღმერთმა იცის; მხოლოთ ეს შემთხვევა ერთს ანდაზას მაგონებს, რომელიც ამბობს: „რძალ-დედამთილის შუა რაღაცა დაიკარგაო“.

ჯერ ყველაზედ წინ ისა ვსთქვათ: ძალ-დატანებით რათ უნდა გაჰყვანდესთ, ფოშტის საზიდავათ, ისეც საკმაოთ ბეგარის გამწევი მოხევეები, მაშინ როდესაც ვლადიკავკაზსა და ქალაქ შუა ფოშტები იჯარითა აქვსთ აღებული ბ. სლივიცკის და ბ. ალი-ბეგს? ესენი მოიჯარადრეები არიან და ამათი მოვალეობაა, თავში ქვა იცემ და სადაც უნდათ, იქ იშოვნონ საქირაო მარხილები. იქნება გვითხრან: ხალხი გაჭირებაში ვაი თუ არ გამოვიდესო და ფოშტებმა ამის მიზეზით შეიგვიანონო. ამაზედ ჩვენ ვეტყვით, რომ, ფოშტებს გარეთა ცუდ დარში გაშურებული მგზავრიც ბევრი მიდის-მოდის, ზევრჯელ დიდი ბარგითაც და ისინი დაუყოვნებლივ შოულობენ მარხილებს, როგორც თავიანთვის, ისე თავიანთ ბარგისათვის. მხოლოთ ამათ და ფოშტის მოიჯარადრეებს შუა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეს მგზავრები მარხილზედ აძლევენ 3 მ. და ფულსაც ხელში უსწორდებიან და ფოშტის მოიჯარადრები ჰპირდებიან 1 მ. 50 კ., გასწორების დროს კი გამოჩნდება ხოლმე, რომ საკმაო ნაწილი მოაკლდება ფულების რიცხვს, რომელიც მემარხილეებს ერგებათ თავიანთის შრომისათვის. ვიმეორებ, არ ვიცი—ვის ხელებსა აქვს ისეთი მანქანება, რომ გადათვლაში ათი შაური ჰქრება; მაგრამ ის-კი ვიცი, რომ დიდი არა დააკლდებოდათრა არც ბ. სლივიცკის, არც ბ. ალი-ბეგს, რომ რამდენიმე ასი მანეთი მეტი დაეხარჯათ და პირ-და-პირ ხალხს მორიგებოდნენ ამ გვარს შემთხვევაში.

ამას გარდა, კიდევ ეს უნდა ვსთქვა, რომ მოხეური მარხილი სულ ღირს ორს მანეთამდინ და რატომ თითონ სტანციების მოიჯარადრები არ გააკეთებენ თავისათვის ამ გვარს მარხილებს; ცხენები თავიანთი ჰყავთ, და თითონ არა გზავნიან ფოჩტას? ეს ხომ ბევრით უფრო იაფად დაუჯდებოდათ ბ. ფოდრიადჩიკებს და ფოჩტაც დაუყონებლად ივლიდა? მაგრამ აქ ფოჩტის ჩქარა გაგზავნა ისე ხალხისათვის თვალ-ასახვევათა აქვსთ მოგონილი და საქმე კი აი რაში მდგომარეობს;

მანი. აქედან ოთხი თუმანი დიაკვანს, თორმეტი თუმანი მღვდელს. ამ თორმეტის თუმნიდგან უნდა გარდიხადოს სასულიერო სასწავლებლის გარდასახადი და სხვა წვრილ-წვრილი გადასახადი წელიწადში უკანასკნელი სამი თუმანი; დარჩა ცხრა თუმანი. ცხრა თუმნით რას გახედეს?—ცოლს და შვილს ჩააცვას და დაახუროს, თუ თვითონ?

იტყვიან: შემოსავალი აქვსო: სამკვრო, ჯვარის-საწერი და სხვა. ჯვარის-საწერი მღვდელს ბევრი ათი შეხვდეს წელიწადში, საშვალო რიცხვით; გლეხი სამს ან ოთხს მანეთს (მეტს არა) მისცემს მღვდელს და მის პრიჩეტნიკს; აზნაური ძლივს ერთს თუმანს მისცემს, და აქედგანაც არ შესდგება დიდი თანხა. სამკვდროს გლეხი იხდის 4—6 მანეთს, აზნაური 6—10 მანეთამდის; თუ მეტი გადაახდევინა მღვდელმა ვისმეს, გადამხდელი უჩივლებს ყოვლად სამღვდელოსთან და ვაი იმ მღვდლის ბრალი.

ასე რომ ვიანგარიშოთ, ჩვენი სოფლის მღვდლის შემოსავალი წელიწადში ბევრი 15 თუმანზე მეტი, თუ ფულით და თუ ნამუშევრით არ იქნება.

აი ამ ნაირს მდგომარეობაშია იმერელი მღვდელი მატერიალურის მხრით. რა ქნას ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა მღვდელმა? ეს უნდა ეცადოს, რომ როგორმე პური იშოვნოს და შიმშილით არც თვითონ მოკვდეს და არც ცოლშვილი დახოცოს. ამის გამო მიდის და მიწის მუშაობას ჰკიდებს ხელს და ამის შემდეგ იმას დრო აღარ აქვს, რომ რაიმე კეთილი საქმის გაკეთება განიზრახოს. ისიც დიდი, თუ წირვა-ლოცვისთვის მოიცალა.

ის მღვდლები კი, რომელთაც აქვთ სამყოფი საკუთარი მამული და რომელთაც არ აწუხებს საზრდოს შოვნა, თუ ბევრს არა, ცოტას მაინც ზრუნავენ კეთილის საქმისათვის. ამის მაგალითსაც მოვიყვან: მე მომიხდა ამ მოკლე ხნის განმავალობაში ყოფნა ს. ბზვანში (ქუთაისის მაზრაში). აქ ჩემი ყურადღება მიიქცია ეკკლესიის შიგნით მორთულობამ: მშვენიერი კანკელი, წიგნები მშვენიერს ყდებში, სახარების ყდა სულ მოოქრული, რომელიც ღირს, როგორც მითხრეს, ოცდა ხუთ თუმნამდის ხატები ძვირფასი, ეგრეთვე ჯვრებიც, ერთის სიტყვით ამისთანა მორთული ეკკლესია არსად ჩვენს სოფლათ არ მინახავს. ერთს ჩემს იქაურს ნაცნობს ვკითხე: ვის თაოსნობით არის მეთქი ეს ეკკლესია ესე მშვენიერათ მორთული და იმან მიპასუხა: „აქ მსახურებს ერთი ქვრივი მთავარ დიაკვანი მ. მიხეილ ს—შვილი, რომელიც აქამდინ ამ ეკკლესიის მორთვისთვის ზრუნავდა და ეხლაც არის გაგზავნილი მოსკოვში ხატებისათვის. რა საკვირველია, ეს იმან შეასრულა საზოგადოების შემწეობით; უნდა მოგახსენოთ რომ აქაური საზოგადოების გლეხიც და აზნაურიც ისეთნი არიან, რომ თავს არ იზოგვენ კეთილის საქმის გასაკეთებლად.

„ეხლა მამა მიხეილი ფიქრობს, რომ აქ საზოგადოებისვე შემწეობით გაიხსნას სასოფლო შკოლა და, თუ მოხერხდა ბანკიც, რადგანაც სხვებრ თითქმის ყოვლიფრით უნაკლულოა ეს სოფელი და იმედი არის აქაური საზოგადოება ერთ-ხმათ თანაუგრძნობს ამისთანა კეთილ საქმეს“.

ეს დიაკვანი მისთვის შრომობს კეთილი საქმისთვის, რომ იმას არ აწუხებს მატერიალურ საჭიროებაზე ზრუნვა და თავისუფალს დროს კეთილი საქმის გასაკეთებლად ხმარობს. თუ ყველა მღვდლებს და დიაკვნებს ექნება მატერიალური საშუალება საკმაოთ, მაშინ უსათუოდ ცოტათ მაინც იშრომებენ კეთილი საქმისათვის.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ როგორც მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება მღვდლებისა, მაშინ მღვდლებიც უკეთესები გვეყოლება სოფლებში, მაშინ სემინარიელები სიხარულით წავლენ სოფელში მღვდლათ, ახლა არ მიდიან, რადგან შიმშილით სიკვდილის ეშინიანთ.

X.

ქიზიყი, 13 ივლისს. ამ ჟამად ჩვენში დიდი სიცხეებია. ქალობა გახშირდა; ბევრმა კიდეც გალეწა და ხალხი გაიმართა. სოფლად კაცი პურს 2 მანეთად თუ არა, თორმეტ აბაზათ, 3 მანეთად რაერთსაც უნდა აიწყამს. საზოგადოთ დიდს სარჩოს მოველით. ფეტვები სიცხეებმა ცოტა შეგვიწუხა, მაგრამ ღვთის მადლით, 12 მკათათვეს მოვიდა პირველად კარგი შხაპუნა წვიმა და იქნება ფეტვებიც ისევ გაგვიკეთდეს; მაშინ სწორეთ ავივსებით სარჩოთი და ჩვენს ბედს, როგორც იტყვიან, ძაღლიც აღარ დაჰყეფს.

სარჩოს ცქერით ძალიან გახარებულები ვართ.

მაგრამ სიხარულს თუ ერთი მწუხარებაც არ ჩაერთო, ხომ არ იქნება: შირაქში, სადაც ჩვენი კალოებია, გაჩენილა რაღაც ნადირი, რომელიც ბევრს ზარალს აძლევს მეკალოე ხალხს: ამ დღეებში ერთი პატარა მეძროხე ბიჭი შეუჭამია და ერთიც მძინარე ბავში მოუტაცნია ამ უცნაურს ნადირს, რომელსაც ჩვენი ხალხი „მგელკაცას“ ეძახის.

ღვინის მოსავალი შარშანდელსავით ბლომა ვერ არის; მაგრამ ყველანი ამბობენ, რომ წლევანდელი ღვინო ღირსებით გაცილებით ემჯობინებაო.

საქონლის ქურდობა კულანდებულზედ უფრო გახშირდა; საწყალს გლეხს ზოგჯერ კალო ჩაშლილი აქვს, წავა ცხენების მოსაყვანად; მაგრამ სად არის ცხენები?

ხალხი, როგორც მოგახსენეთ კალოობაში გართული; ამის გამო სიღნაღში ვაჭრობა ერთობ დავარდა. სხედან დილით საღამომდინ ვაჭრები დუქნებში, მუშტარს ვერ ჰხედვენ, შეჰყურებენ გაყვითლებულს კიტრებს და თითონ ბოლმით უარესად ყვითლდებიან...

ამას ვამბობ სიღნაღელებზედ და გული კი მიფანცქალებს, მაგრამ ეჰ მე რისა მეშინიან, ჩემი კორრესპონდენცია ხომ სიღნაღიდამ არ არის; რას გაიგებენ ვინა ვარ.

სიღნაღიდამ რომ კორრესპონდენცია იქნება ხოლმე, მაშინვე შეიკრიბებიან „დიდ-მუცელოვები“ და ყურით პსევდონიმით გამოიცნობ ნამდვილი გვარი ავტორისა; პსევდონიმი რომ „ბაყაყი“ იყოს, ისინი აქაურს მასწავლებელს აბრალებენ: იმისი გვარიც „ბ“-ნით იწყობაო.

რადგან კორრესპონდენტებზედ დავიწყე ლაპარაკი, მსურს ერთი სიტყვა აქაურს „ობზორის“ კორრესპონდენტზედაც მოგახსენოთ.

საკვირველია, რომ ბაქია და ტრაბახა კაცს თავის მზგავსი ტრაბახა კაცი უყვარს და პატივს სცემს.

ამ პატივცემულს კორრესპონდენტს რომ სიზმარში რამე არ მოეწონოს, მეორე დღეს ბაზარში ლაპარაკობს: „ცუდი სიზმარი ვნახე და უთუოდ „ობზორში“ უნდა დავწეროვო“. ამ დღეებში ის სოფ. ფანიანში ერთს ალაგას სადილზედ ვნახე, „პილატეს ცრემლი“ და კახური ღვინო გადაჰკრა საკმაოდ, დაუწყო რაღაცაზედ ჩხუბი თამადას და რომ ლაპარაკით ვერა გამოიტანა-რა, დაიწყო შუა სადილზედ ტრაბახობა: „თქვენ შემდეგი ფოჩტით გაიგებთ—მე ვინა ვარო: „ობზოში“ სულ თავ-პირ დაგამტვრევთო“ და ბევრიც სხვ.

ამ ბატონზედ იმასაც ამბობენ, ვითომც ის უწერს კორრესპონდენციებს კორრესპონდენციით სახელის მომპოებელს ხალხს და თავის ვასამრჯლოს იღებსო.

მ—ხა.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები**. ოსმალეთის მმართებლობის გაზეთში, ჯჯაკიკატში, საბერძნეთის საზღვრის თაობაზე, სხვათა შორის, შემდეგი სწერია:

„ვამოგვიცხადებია ოსმალების ყველა კეთილ-მოსურნეთათვის, რომ ჩვენ ვერას-გზით ვერ დავეთანხმებით უმთავრესს სახელმწიფოთაგან ჩადენილ უსამართლობას. თუ თვითონ ისინი არ აასრულებენ თავიანთ განაჩენს, ისე ნებას არ მივცემთ საბერძნეთს, რომ დაეპატრონოს ორს ჩვენს ოლქსა. და

---

ხევში, როცა თოვლი მოვა, გზა შუა ალაგას გაიტკეცება, გამაგრდება და ნაპირებზედ კი ისევ რბილი თოვლია. თუ ცხენი ამ გამაგრებულს თოვლს გადასცდება, ჩაიფლება თოვლში და არა იშვიათად ფეხს იტეხს; თუ გზას ახლო ფლატო არის, ისეც მოხდება ხოლმე, რომ ცხენი გადავარდება და კვდება. რასაკვირველია, რომ ოლონდაც თავის ცხენებს ეს უბედურება ააცდინონ და სიამოვნებით აძლევენ 1 მ. 50 კ. და ამ ნაირად საწყალი მოხევეები კი ვილაც გადმოცვინულს ალი-ბეგების და სლივეცკების ჯიბის მსხვერპლად ხდებიან!..

ერთი კიდევ ეს მიკვირს: მამასახლისი რათ უნდა აგროვებდეს და აყენებდეს კვიტანციებს იქამდინ სანამ ანგარიში ყველას არ გადაერევა?— მაგრამ მაგას რა კითხვა უნდა?..

„ქალა-შავას“ თავშალი უნდა, თითონ კი ლურჯაზედ გადაჯდება *).

ახლა მოვა სხვა ბეგარა—სალდათების ბარგი უნდა წაიღონ. დაიბარებს კამანდის უფროსი მამასახლისს და მოსთხოვს მაგალითად 30 ურემს. კანონით ურემზედ შეუძლიან დააწყონ მხოლოდ თვრამეტი ფუთი, მაგრამ მამასახლისი მოახსენებს:

—მაგოდენი ურმები არ გახლავსთ. ოცს ურემზედ დავსტევ თქვენს ბარგს და ისე გავისტუმრებ... კვიტანციას კი 30 ურმისას მოგართმევთ და თქვენ კი პრაგონი 25 ურმისა გვიბოძეთ.

*) „ლურჯას“ მოხევეები არაყს ეძახიან, „წითლას“ კი ღვინოს.

ჯარის უფროსი თანხმდება, მამასახლისი იღებს 25 ურმის პრაგონს და ხალხს კი ოცი ურმისას უსწორდება; დანარჩენი ხუთი ურმის ნაფასური? იმასთან ვის რა დავა აქვს?.. 20 ურმის მეტი ხომ არ გაუსტუმრებია და ამ ოც ურემს გაუსწორდა!

ისეც მძიმეთ აკიდებულს ურმებს, ახლა კიდევ შეუსხდებიან სალდათები ბი და მიბძანდებიან ისე—ორშაბათის ყეენსავით! იმათ რა ენაღვლებათ, თუ ცხენებს მეტის ჯაფისაგან ლამის არის ძარღვები ასკდებათ. შეჰყურებს დაღონებული პატრონი თავის დამრჩენს ცხენს, რომელსაც აღმართში ძალამ უღალატა და შესდგა, რომ შეიქაქანოს. სალდათები მიეშურებიან თავის გზას და, რასაკვირველია, უნდა ჩქარა გაიარონ და ამისათვის უჯავრდებიან ცხენს. პატრონს გული ვეღარ უთმენს და ეუბნება.

Э!.. братъ.. пожалуста ...гора, бѣдны лошадь!.. гора.. სიტყვებს ვეღარ გაათავეას და ანიშნებს ხელით, რომ ჩამოხტნენ.

სალდათები ხარხარებენ იმის რუსულის უცოდნელობაზედ და ცხენის პატრონს კი გული უსივდება, რომ თავის ხვირას *) იმისთანა გაჭირებაში ხედავს და არ იცის რითი უშველოს.

მაგრამ სალდათებს რა?

„სახრე ტყისა,
„ხარი სხვისა,
„დაჰკარ —შეიმოკლებ გზასა:“

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ხვირა—ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თვითონ ევროპა იკისრებს მის ასრულებას, მაშინ ოსმალეთის ხალხი ისე მოიქცევა, რომ მთები ატირდნენ და კლდეებმა დასძახონ: „ინშ-ალლაჰ!“ (დიდია ღმერთი!). ოსმალები არ დაივიწყებენ თავიანთ გმირობას.“

—

სერბიიდამ იწერებიან, რომ იქ მხედრობის რიცხვს უმატებენ მილიციის ოთხი ბრიგადა ეხლავე მოუწვევიათ, რომელთაც ალბანიის და ბოლგარიის საზღვარზე უპირობენ დაყენებას!

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და უმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და უმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალიდ ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ხ ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---

# განცხადებანი

—

სამზღვარ-გარეთის ყოვლ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე შრომებით მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფუთულში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, წყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფუთულის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3. მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (40—38)

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, იყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში. (40—25)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, იყიდება ინგლისის მაღაზიაში.

---

## პატენტიანი პრობკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—29)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი იყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მანეთად ღირს. (100—20)

---

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ! (30—24)

---

ვტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღებელი **5,000 კარგი მშრალი ფიცარი ფიჭვისა და ნაძვისა** $1\frac{1}{2}$ ვერშოკიდამ 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ვყიდი ამ ტყის მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს ბუჭყიევს, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

თუ მსურველი აღმოჩნდება და ყველა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5% დაუთმობ.

აქვე იყიდება გერცკალური ხეების გადასატანად. (3—2).

---

დაბოლოებით

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პაროუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან არის. (10—9)

---

ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი

სამწერლო,

# თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

**I.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს. (30—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი